### გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის საზეიმო გახსნა

# სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილეებს, ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს, ფიზკულტურული ორგანიზაციების ყველა მუშაკს, უსურვებენ მათ ახალ დიდ წარმატებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

საბჭოთა ფიზიკური კულტურა ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების სპორტული ტალანტების გაფურჩქვნის ნათელი დადასტურებაა. იგი მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორად იქცა საბჭოთა ადამიანების აღზრდაში, აქტიურად გამოიყენება მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, შრომისნაყოფიერების ამაღლებისა და გონივრული დასვენების ორგანიზაციისთვის.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა დიდი მოვლენაა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. სპარტაკიადა იქცა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევათა ჭეშმარიტ დათვალიერებად. ამ ასპარეზობაში მონაწილეობდა 44 მილიონზე მეტი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, მოსწავლე ახალგაზრდა. მან გამოავლინა ბევრი ახალი ნიჭიერი სპორტსმენი, რომელთაც მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები ახალ შესაძლებლობებს შლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი სახეობების განვითარებაში. მეცხრე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზა. ამით შეიქმნება პირობები, რომ უკეთ დაკმაყოფილდეს საბჭოთა ადამიანთა მისწრაფებები ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაკები და სპორტსმენები კვლავაც იზრუნებენ, რათა ფიზიკური კულტურა სახალხო კუთვნილებად იქცეს, აქტიურად დაინერგოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, კიდევ უფრო ფართო მასშტაბით იქნეს გამოყენებული საბჭოთა ხალხში შრომისმოყვარეობის, მორალური წრთობის, სიმამაცის, დიდი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მუდამ მზადყოფნის გამოსამუშავებლად.

ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, იზრუნეთ მაღალი სპორტული შედეგებისთვის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში ახალი გამარჯვებებისთვის, მაღლა გეჭიროთ საბჭოთა სპორტის დროშა!

დიდება კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ყველა გამარჯვების შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 141 (4391)
17 ივლისი. შაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1984 წლის
13 აპრილიდან

# რუშუამ ალამი აღმართა

მოსკოვი, 16 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). „კლასიკოსთა" შეჯიბრება დიდი ზეიმით გაიხსნა „სპარტაკის" შესანიშნავ მძლეოსნურ მანეჟში. იგი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ ასპარეზობის ალამი აღმართა ჩვენმა თანამემამულემ, სახელოვანმა ფალავანმა რ. რურუამ. ყველა დანარჩენმა ჩემპიონმა სწორედ მას ანდო ამ საპატიო მოვალეობის შესრულება. რურუამ, ავადმყოფობის მიუხედავად, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ღირსების დაცვა იკისრა. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, მან ჩვეული ძალით ვერ იჭიდაოს. მაგრამ, რას იზამ! ამას მოითხოვს გუნდის ინტერესები. რურუამ ჩვენთან საუბარში თქვა: სპარტაკიადა ისეთი ღონისძიებაა, სადაც ყველაზე მაღლა კოლექტივის ინტერესები უნდა დავაყენოთო...

გაიმართა პირველი წრის შეხვედრები ყველა წონით კატეგორიაში.

48 კგ წონის მოჭიდავეებში საქართველოს წარმომადგენელმა შ. გიგოლაშვილმა ერთობ პასიურად იჭიდავა, 5 წუთში 3 გაფრთხილება მიიღო და დამარცხდა აჯამანოვთან (ყირგიზეთი).

52 კგ წონაში ჩვენი გუნდის ღირსებას იცავს გ. გუდაძე. მას ძლიერი მეტოქე ჰყავდა ასევე ყირგიზი ლის სახით. ამ წონაში ჩვენს მწვრთნელებს არ ჰქონდათ წარმატების იმედი, მაგრამ... პირველ სამ წუთში მეტოქეებმა პასიურობისთვის თითო გაფრთხილება მიიღეს, შესვენების შემდეგ კი გუდაძემ 2-ქულიანი ილეთი ჩაატარა და გაიმარჯვა.

57 კგ წონით კატეგორიაში ჩვენი ჯ. მეგრელიშვილი კოლოსოვს (ლატვია) შეხვდა. თავდაპირველად უპირატესობა კოლოსოვის მხარეს იყო, მაგრამ მეგრელიშვილმა ხელთ იგდო ინიციატივა და 3 ქულა აართვა მეტოქეს, მე-9 წუთზე კი ბეჭებზე დასცა იგი.

## დღეს სპარტაკიადაზე...

ასპარეზობას განაგრძობენ 7 სახეობის წარმომადგენლები.

ცსკას-ს სპორტის სასახლეში გაირკვევა სპარტაკიადის ჩემპიონების ვინაობა კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა შორის. გათამაშდება, აგრეთვე, ყველა მომდევნო ადგილი.

სამბისტები ტურნირს ცსკა-ს დახურულ საჩოგბურთო კორტზე იწყებენ. დღისით გაიმართება წინასწარი შეხვედრები მსუბუქ (70 კგ), პირველ ქვესაშუალო (80), მეორე ქვესაშუალო (86) და პირველ საშუალო (93) წონებში. საღამოს ჩატარდება ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები.

კლასიკური სტილის მოჭიდავეებთან წინასწარი შეხვედრები მოეწყობა.

ხიმკიში, „დინამოს" საწყლოსნო სტადიონზე, ნიჩბოსნები იასპარეზებენ. 18 საათზე დაიწყება ნახევარფინალური შეჯიბრებები.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება მძლეოსანთა 10 ფინალური შეჯიბრება: 50 კმ-ზე სპორტულ სიარულში, მარათონულ რბენაში, 110 მეტრზე თარჯრბენში, 100 და 1500 მეტრზე რბენაში, სამხტომში, 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში, შუბის ტყორცნაში, ქალთა შორის ბირთვის კვრაში.

„კრილია სოვეტოვის" სპორტის სასახლეში თანამედროვე ხუთჭიდელებს პირველი შეჯიბრება აქვთ — ფარიკაობაში.

ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში გამოვლინდება სპარტაკიადის ჩემპიონი მჩატე წონაში.

# დრონოვა — პირველი, ჩვენი გუნდი კი ლიდერი

უფა, 15 ივლისი. სალავათ იულაევის სახელობის სპორტის სასახლის სარბიელზე მოზარდი ტანმოვარჯიშეები ასპარეზობენ. შეჯიბრების მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე კარგად გამოვიდა 13 წლის თბილისელი მოსწავლე ნ. დრონოვა — 37,75 ქულა. II ადგილზეა მოსკოველი ლ. ბოგდანოვა—37,1, ხოლო III — უკრაინის გუნდის წევრი ტ. პერსკაია — 36,55.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საქართველოს ტანმოვარჯიშეები. ისინი II ადგილზე მყოფ მოსკოვის კოლექტივს 0,25 ქულით უსწრებენ. III ადგილზეა უკრაინის ნაკრები.

## ეს ერთი და...

მოსკოვი, 16 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ლვოველმა ჟურნალისტმა, 27 წლის ძალოსანმა ა. გნატოვმა (უმჩატესი წონა) სასპარტაკიადო ფიცარნაგი დღეს პირველი მსოფლიო რეკორდით დაამშვენა — 115 კგ აჭიმა. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით აღემატება გნატოვისავე უწინდელ, ამ გაზაფხულზე დამყარებულ მიღწევას.

# „დიდი პრიზი" მოსკოვში დაბრუნდება

ვენა, 16 ივლისი. საბჭოთა სპორტსმენებმა კვლავ მოიპოვეს „ეროვნებათა დიდი პრიზი" — მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი გუნდური ჯილდო. ხუთშაბათს გაიმარჯვა საბჭოთა რაპირისტ ქალთა გუნდმა (ფინალში მან მოუგო უნგრეთის კოლექტივს — 9:6) და სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც 66 ქულა დააგროვა, უკვე მიუწვდომელი გახდა მეტოქეებისთვის (პარასკევს მოეწყობა ბოლო ტურნირი — გუნდური შეჯიბრება დაშნებით). ხუთშაბათს, ქალთა ფინალური მატჩის დროს, სარბიელზე გამოვიდნენ: საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში — მსოფლიო ჩემპიონები ა. ზაბელინა, გ. გოროხოვა და ე. ბელოვა-ნოვიკოვა, აგრეთვე, ახალგაზრდა ტალინელი ს. ჩირკოვა; უნგრელთა გუნდიდან — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ი. რეიტო, ი. ბობიში, მ. სოლნოკი და ი. ტორდაში.

ვენელები გულწრფელად უკრავდნენ ტაშს საბჭოთა სპორტსმენებს მათთვის ჯილდოების გადაცემის დროს. განსაკუთრებით გაძლიერდა ოვაცია, როცა გოროხოვა ასკინკილით მივიდა (მან ბრძოლის დროს ფეხი იღრძო) კვარცხლბეკამდე, საფეხურზე ჩამოჯდა და ასე მიიღო ოქროს მედალი...

ქალთა გუნდებმა ადგილები ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს: სსრ კავშირი, უნგრეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, იტალია (იგივე გუნდები ქვესეული, რომელიც შარშანდელ ჩემპიონატში პირველობდა, ოღონდ მაშინ თანმიმდევრობა სხვაგვარი იყო: სსრ კავშირი, რუმინეთი, საფრანგეთი, უნგრეთი, პოლონეთი, იტალია).

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისთვის და აჭარის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1971 წლის 15 ივლისი.

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

# პირველი გამარჯვება

მოსკოვი, 15 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). კალათბურთელთა ფინალური ტურნირის მესამე დღე კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგით აღინიშნა: რსფსრ-ს ქალთა ნაკრებმა დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ლენინგრადის გუნდი და ისიც როგორი სხვაობით — 20 ქულით (74:54)! ბრძოლის ბედი ფაქტიურად შესვენებამდე გადაწყდა — 38:26.

ლიდერმა — ლატვიის ნაკრებმა თავის აქტივში კიდევ 1 ქულა ჩაიწერა: ამჯერად უკრაინელ სპორტსმენებს სძლია — 64:49.

სატურნირო ცხრილში პირველი ერთიანი ჩაიწერეს საქართველოს ვაჟებმა. პირველი ტაიმის მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ ჩვენები იოლად გაიმარჯვებდნენ (46:37), მაგრამ შესვენების შემდეგ ლიტველები შესამჩნევად გააქტიურდნენ და სხვაობა 4 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს.

მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა — მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივებმა: პირველმა დაამარცხა ესტონეთის (72:65), მეორემ — ბელორუსიის (71:64) კალათბურთელები. ჩემპიონის საკითხი, როგორც ჩანს, ამ კოლექტივთა შეხვედრაში გადაწყდება.

## 3 ტურის შემდეგ

გუშინწინ კალათბურთელები ისვენებდნენ, გუშინ კი ბრძოლა განახლდა. ფინალისტთა დარჩენილი მატჩების შედეგები ალბათ არსებით ცვლილებებს შეიტანენ სატურნირო ცხრილებში. 3 კალენდარული დღის შემდეგ სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულისთვის მებრძოლთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

ვაჟები

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 3 | 0 | 241—205 | 3 |
| უკრაინა | 3 | 0 | 203—178 | 3 |
| საქართველო | 1 | 2 | 202—223 | 1 |
| ესტონეთი | 1 | 2 | 189—205 | 1 |
| ბელორუსია | 1 | 2 | 209—205 | 1 |
| ლიტვა | 0 | 3 | 218—246 | 0 |

ქალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 0 | 205—160 | 3 |
| რსფსრ | 2 | 1 | 218—183 | 2 |
| ლენინგრადი | 2 | 1 | 207—195 | 2 |
| უკრაინა | 1 | 2 | 167—197 | 1 |
| ლიტვა | 1 | 2 | 176—180 | 1 |
| საქართველო | 0 | 3 | 163—221 | 0 |

რა პრინციპით არიან განლაგებული სატურნირო ცხრილში ერთნაირქულებიანი გუნდები? მოსკოვისა და უკრაინის ვაჟთა გუნდებს ერთმანეთში ჯერ არ უთამაშიათ, ამიტომ აქ მხედველობაში იქნა მიღებული საერთო ბალანსი: მოსკოველებს უკეთესი სხვაობა აქვთ და ამიტომაც I ადგილზე არიან.

საქართველოს, ესტონეთისა და ბელორუსიის კოლექტივებში ურთიერთშეხვედრათა ბალანსი უკეთესი აქვთ საქართველოს კალათბურთელებს (+4), ესტონელები ამ სამეულში II ადგილზე არიან (+2), ბელორუსიის გუნდი კი III (—6).

ასეთივე პრინციპით არიან განლაგებული ქალთა გუნდები.

## გუშინ...

გაიმართა კალათბურთელთა ფინალური შეჯიბრების მორიგი ტურის მატჩები. ჩვენმა ქალებმა ბრწყინვალედ ითამაშეს რსფსრ-ს ძლიერ გუნდთან და გაიმარჯვეს—73:69 (36:39). საქართველოს ვაჟთა ნაკრები დამარცხდა ესტონელებთან შეხვედრაში — 58:66 (36:30).

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

### სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა

# მიუნხენს ვუმიზნებთ

აკადემიური ნიჩბოსნობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში პირველად 1963 წელს შეიტანეს. მაშინ რესპუბლიკების დელეგაციები ჩათვლას ყველა ადგილისთვის იღებდნენ, თანაც, საქართველოს კოლექტივი ხუთივე კლასში გამოდიოდა და საბოლოოდ ამ სახეობაში VIII ადგილი დავისაკუთრეთ, მაგრამ პირად პირველობაში დიდ წარმატებას ვერ დავიქადნით. საუკეთესო შედეგი (VI ადგილი) ორადგილიანი წყვილმოსასმელიანებით შეჯიბრებაში გვქონდა.

საიუბილეო, IV სპარტაკიადაში პროგრამა ორი კლასით გაიზარდა: ახლა გამარჯვებისთვის 7 კლასის ნავები იბრძოდნენ. საქართველო მთლიანი გუნდით გამოვიდა, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში 14 კოლექტივს შორის XIII ადგილი დავიკავეთ. ეს აშკარა წარუმატებლობა იყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში საქართველოს ნაკრები რესპუბლიკის ფარგლებს არ გასცილებია, არც ერთ ამხანაგურ შეჯიბრებაში არ უასპარეზია და, ცხადია, სპორტსმენებს გამოცდილება აკლდათ...

წინა სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში და ტურნირების დროს გამოვლენილ ხარვეზთა გათვალისწინებით დავიწყეთ სამზადისი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის. ასპარეზობის პროგრამა, მართალია, იგივე დარჩა, მაგრამ შეჯიბრებაში მხოლოდ სპორტის ოსტატები დაიშვებოდნენ, ჩათვლას კი ის ნავები მიიღებდნენ, რომლებიც I-VIII ადგილებზე გავიდოდნენ.

ამოცანა მეტად რთული იყო, მით უმეტეს, მზადების დასაწყისში რესპუბლიკაში მხოლოდ 4 სპორტის ოსტატი (ჯ. ჭანტურია, ჯ. გოგლიჩიძე, დ. ლოლუა და ა. კაპანაძე) გვყავდა, რომლებმაც ეს წოდება შარშან „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში მოიპოვეს. სასპარტაკიადო გუნდში კი სულ 29 ოსტატი გვჭირდებოდა.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და აკადემიური ნიჩბოსნობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ნაკრების ხელმძღვანელობა ო. ბერულიძესა და მე მოგვანდეს, ხოლო კონსულტანტად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მოსკოველი ა. ნიკოლაევი მოვიწვიეთ.

შარშან დეკემბრისთვის შევადგინეთ ნაკრების კანდიდატთა კოლექტივი და საერთო ფიზიკურ მომზადებაში სავარჯიშოდ ბაკურიანს გავემგზავრეთ. იქ გატარებულ დროს უქმად არ ჩაუვლია. წვრთნასთან ერთად სპორტსმენები ტრამპლინის მშენებლობაზე შრომობდნენ. ამას მოჰყვა ვარჯიშები თბილისში, შეჯიბრებები ფოთში, მინგეჩაურში (ორჯერ), პინსკში და სხვაგან. გუნდის საბოლოო სახე ადგილობრივი შერჩევითი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით ფოთის რეგატის წინ ჩამოვაყალიბეთ. ნაკრებში 23 წევრი დარჩა, ისინი, ვისგანაც ყველაზე მეტს ველოდით.

ფოთის, მინგეჩაურის და პინსკის რეგატებში საქართველოს ნიჩბოსანთა წარმატებებზე „ლელო“ თავის დროზე იტყობინებოდა, ამიტომ მათზე აღარ ვჩერდებით. დავუმატებთ მხოლოდ, რომ მწვრთნელები შედეგებით კმაყოფილი ვიყავით, — ჩვენი სპორტის ოსტატთა რიგები 14 კაცით შევსო. ახლა უკვე საფუძველი გვქონდა, რომ მოსკოვში ოსტატებით დაკომპლექტებული რამდენიმე ნავით გამოვიდოდით. 18 სპორტის ოსტატი 5 ნავის დაკომპლექტების საშუალებას გვაძლევდა.

ცოდვა გამხელილი სჯობს — ხალხთა სპარტაკიადაში ყველაზე მეტი იმედი რვაადგილიანების, უმესაჭო და მესაჭიანი ოთხადგილიანების შეჯიბრებებში გვქონდა; ვინაიდან ყველაზე ძლიერებს სწორედ ამ ნავებზე მოვუყარეთ თავი.

სპორტსმენთა ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში დიდად დაგვეხმარნენ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, რომლებიც წვრთნისა და მზადებისთვის ყველა პირობას გვიქმნიდნენ. და ახლა, როცა ჩვენთვის სპარტაკიადა განვლილი ეტაპია, კმაყოფილი ვართ, რომ ეს ზრუნვა გავამართლეთ.

მოსკოვში, „სერებრიანი ბორის“ მიდამოებში სპარტაკიადისწინა ვარჯიშში მთელი თვე გავატარეთ, ძირითადად, სისწრაფეზე ვმუშაობდით. კარგად გამოვედით საერთაშორისო „მოსკოვის დიდ რეგატაში“. მაგალითად, ჩვენმა რვამოსასმელიანმა ნავმა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთის, უნგრეთისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკიპაჟებთან ბრძოლაში V ადგილი დაიკავა.

მაგრამ ჩვენს მთავარ საზრუნავს სპარტაკიადა შეადგენდა. გადამწყვეტი სტარტების დღეც დადგა. 7 ივლისს სტარტზე პირველნი მესაჭიანი ოთხადგილიანები გამოვიდნენ. აქ ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა მივანდეთ თბილისის არმიელთა სპორტკლუბის კოლექტივს, რომელსაც ფინალისთვის ბრძოლის უნარი შესწევდა. წინასწარ ტურნირში ბიჭები კარგადაც იბრძოდნენ, მაგრამ ფინალის საგზური ზედ ფინიშთან მოლდაველებს დაუთმეს. საქართველოს სპორტსმენებს ისღა დარჩენოდათ, რომ VII-VIII ადგილებისთვის ებრძოლათ. სამწუხაროდ, მათ მთელი ენერგია წინა დღის შეხვედრებს შეალიეს. აქ — „მცირე ფინალში“, როცა VIII ადგილი თითქმის განაღდებული ჰქონდათ, სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის ეკიპაჟს, რომელსაც გამოცდილი მენიჩბე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პ. ცოოვა ხელმძღვანელობდა, 0,1 წამით ჩამორჩნენ.

უმესაჭო ოთხადგილიანებით წინასწარ შეჯიბრებაში ლოლუა უქეიფოდ იყო, რის გამოც ეკიპაჟი (ჯ. ჭანტურია, დ. ლოლუა, ვ. გეგეჭკორი, ა. მაჩიტიძე) სანუგეშო გაცურვაში ჩავა. აქ მან მოუგო ლიტვის ძლიერ კოლექტივს და ფინალში გავიდა, სადაც მხოლოდ მოსკოვის, უკრაინისა და ესტონეთის ნაკრებს ჩამორჩა. IV ადგილი ჩვენთვის უკვე დიდი წარმატება იყო. ჩვენმა კვარტეტმა 2000 მეტრი 6 წუთსა და 19 წამში დაფარა, რითაც საქართველოს სპორტულ დელეგაციას 10 ქულა შესძინა.

რვაადგილიანებით შეჯიბრებაში ჩვენმა ოქტეტმა (გ. ნიკურაძე, ო. ქაფიანიძე, ა. კაპანაძე, ნ. ფილიევი, ბ. ხურციძე, ჯ. გოგლიჩიძე, ო. ბერაია, ს. ბარიშევი, მესაჭე — ო. ბერიძე) წინასწარ ტურნირშივე იმარჯვა და ფინალის საგზური გაინაღდა. ამან გუნდს საღამოს დასვენების საშუალება მისცა.

ფინალი. ჩვენები თავიდანვე დაწინაურდნენ და 1200 მეტრზე ლიდერობდნენ. მათ მჭიდროდ მიჰყვებოდნენ რსფსრ-სა და მოსკოვის ნავები. მოსკოველ ნიჩბოსნებს მსოფლიო პირველობაში II ადგილი უკავიათ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა — დედაქალაქის სპორტსმენებმა ტემპს უმატეს და თანდათან დაწინაურდნენ. მოსკოველებს რსფსრ-ს ნავიც გაჰყვა. საქართველოს ნიჩბოსნებმა საკავშირო ტურნირებში პირველად მოიპოვეს ბრინჯაოს მედლები (5.45,4) და საერთო ყულაბაში 14 ქულა შეიტანეს.

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირის დამთავრებიდან 2 დღის შემდეგ მათ აქვე გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაშიც III ადგილი დაისაკუთრეს და დაადასტურეს, რომ სპარტაკიადაში წარმატება შემთხვევითი არ გახლდათ. ჯილდოდ ჩვენებმა საზღვარგარეთ საერთაშორისო ტურნირში გამოსვლის უფლება მიიღეს.

ა. ნიკოლაევისა და ნიჩბოსნობის სხვა სპეციალისტების აზრით, საქართველოს ნიჩბოსნებს სსრ კავშირის ნაკრებში ადგილის დამკვიდრების რეალური შანსი აქვთ. ამიტომაც ჩვენი სამერმისო ამოცანაა ვიბრძოლოთ მიუნხენის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის.

**თ. ხომერიკი,**
ნაკრების მწვრთნელი.

* * *

სურათზე: საქართველოს რვაადგილიანი ნავის ეკიპაჟი.

ზ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

## პრიზები, მედლები...

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ხაზინა ივლისის დასაწყისში საკმაოდ მდიდარი გახლდათ. აქ ინახებოდა 1045 ჯილდო, რომელთა შორის ოქროსა და ვერცხლის 320-320 და ბრინჯაოს 342 დიდი მედალი იყო. ამას გარდა, ნიჩბოსნებს, ხუთჭიდელებსა და მსროლელებს აქვე მცირე მედლების 21 კომპლექტი ელოდათ. სპარტაკიადის სიახლეა ის, რომ საკავშირო პირველობის პრიზიორები (რამდენიმე სახეობაში სპარტაკიადის პარალელურად საკავშირო ჩემპიონატი ტარდება) დიდი ბაფთიანი მედლების გარდა ყოველდღიურად სატარებლად მიიღებენ მათს მინიატურულ ასლებს.

* * *

სპარტაკიადის ხაზინაში ინახება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები საერთო გუნდურ ჩათვლაში I-V ადგილებზე გასული დელეგაციებისთვის, აგრეთვე, 86 პრიზი, რომლებსაც სპორტის ცალკეულ სახეობებში I ადგილებზე გასული კოლექტივები და ქალთა შორის საერთო I ადგილის მფლობელი ნაკრები მიიღებს.

* * *

ყველაზე მეტ მედალს (88 კომპლექტს) გაინაწილებენ მძლეოსნები. ამ მხრივ მეორე ადგილზე იქნება ცურვა, რომლის პრიზიორებსაც მედლების 22 კომპლექტი დაურიგდებათ.



## სპორტული წიგნების გამოფენა

სპორტისა და წიგნის ყველა მოყვარულს ვურჩევთ ამ დღეებში ეწვიოს ლუჟნიკის სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობილ პავილიონს „სოლნეჩნის“. იქ გაიხსნა საკავშირო გამოფენა „წიგნი და სპორტი სსრ კავშირში“. ამ გამოფენამ სტარტი 15 ივლისს აიღო, ხოლო ფინიში 30 ივლისს ექნება.

საბჭოთა ფიზკულტურელთა დიდი ფორუმის — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში გამოფენაზეც სასპარტაკიადო განყოფილებას უჭირავს უმთავრესი ადგილი. მდიდარი და მრავალფეროვანია ამ გრანდიოზულ სპორტულ ასპარეზობებზე შექმნილი ლიტერატურა. აი, ფოტოალბომი „სპორტი უკრაინაში“, აქვეა სტენდები წიგნებით, რომლებიც გვაცნობენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დონეს ბელორუსიაში, ყაზახეთში, სომხეთში, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში. ყურადღებას იქცევს განყოფილებები „სპორტი და ჯანმრთელობა“, „ბავშვები და სპორტი“, „მეცნიერება და სპორტი“, „კოსმოსი და სპორტი“, „სპორტი უცხოეთში“...

დასასრულ, „მშრალი ციფრები“: სსრ კავშირში გამოცემულია 22 ათასზე მეტი წიგნი და ბროშურა ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე. მათი საერთო ტირაჟია 283,3 მილიონი ცალი.

**ზ. ხაჩკოვანიანი.**
(საკუთარი კორ.).

მოსკოვი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის დღეებში მოსკოვში გაიხსნა საკავშირო სამხატვრო გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში“, რომელშიც ქართველი მხატვრებიც მონაწილეობენ. მათ შორის გახლავთ თბილისელი მხატვარი ზ. რაზმაძეც. მან უკვე მიიპყრო ყურადღება მხატვრობის მოყვარულთა შორის როგორც რესპუბლიკურ, ისევე საკავშირო გამოფენებზე.

გთავაზობთ რაზმაძის მიერ სპორტულ თემაზე შექმნილ ფერწერულ ტილოს — „რეგბის“.

**ე. ამბოკაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### მატჩები, გოლები, ავტორები

**2:2**

ალმა-ათა, 15 ივლისი. „ყაირათისა“ და „კარპატის“ მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2.

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (ხიჟაკი), ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა როეკოვმა. შესვენების შემდეგ „ყაირათი“ წინ გაიყვანა ჩებოტარიოვმა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე ლვოველები იმავე ხიჟაკმა გადაარჩინა წაგებას.

# არბიტრის მნიშვნელოვანი როლი

გაზეთმა „ტრუდმა“ ივნისის პირველ რიცხვებში ფეხბურთის მოყვარულებს გააცნო დისციპლინის მდგომარეობა ჩვენს 16 საუკეთესო გუნდში. რა ცვლილებები მოხდა განვლილი თვენახევრის მანძილზე? ეს ჩანს გამოქვეყნებული ცხრილიდან. შეგახსენებთ, რომ სვეტში „გ“ ნაჩვენებია გაძევებათა რიცხვი, სვეტში „გფ“ — გაფრთხილებები, სვეტში „ქ“ — საჯარიმო ქულათა რიცხვი შემდეგი გამოთვლით: გაფრთხილება — 1 ქულა, გაძევება — 3 ქულა.

| | გ. | გფ. | ქ. |
|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი“ | 0 | 1 | 1 |
| 2. „დინამო“ თბ. | 0 | 2 | 2 |
| 3. „დინამო“ მნ. | 0 | 3 | 3 |
| 4-8. ცსკა | 0 | 6 | 6 |
| „ზარია“ | 0 | 6 | 6 |
| „დინამო“ კ. | 0 | 6 | 6 |
| „ზენიტი“ | 0 | 6 | 6 |
| „დინამო“ მ. | 1 | 3 | 6 |
| 9. „ნევთჩი“ | 0 | 7 | 7 |
| 10-11. ასკ | 0 | 8 | 8 |
| „კარპატი“ | 0 | 8 | 8 |
| 12-13. „ტორპედო“ | 0 | 9 | 9 |
| „ფახტაქორი“ | 1 | 6 | 9 |
| 14. „ყაირათი“ | 1 | 7 | 10 |
| 15. „არარატი“ | 1 | 8 | 11 |
| 16. „შახტიორი“ | 1 | 10 | 13 |

ცხრილის სათავეში კვლავინდებურად არიან მოსკოვის სპარტაკელები, რომლებსაც მხოლოდ ერთი გაფრთხილება აქვთ. მათ მოსდევენ თბილისის დინამოელები, თუმცა, ტრადიციულად დისციპლინიან თბილისელებს კიეველებთან მატჩში თავშეკავებამ უღალატა. დაივიწყეს ელემენტარული სპორტული ეთიკა და მხოლოდ არბიტრ ვ. რუდნევის ლიბერალიზმმა მისცა მათ შესაძლებლობა შეენარჩუნებინათ მაღალი ადგილი დისციპლინარულ რიგში. ამ ულამაზო ინციდენტში დამნაშავენი მიიღებენ სათანადო სასჯელს.

„ჩემპიონის“ როლში არიან „შახტიორი“, „არარატი“ და „ყაირათი“. ამასთან, ალმაათელთათვის, სამწუხაროდ, ეს ჩვეულებად იქცა.

5 გაძევება და 97 გაფრთხილება — ასეთია ჩვენი საუკეთესო გუნდების გამოსვლათა შედეგი სეზონის სამნახევარი თვის მანძილზე. შარშანდელ გათამაშების ასეთივე პერიოდთან შედარებით გაძევებულთა რიცხვი შემცირდა ორნახევარჯერ, ხოლო გაფრთხილებათა რიცხვი პრაქტიკულად არ შეცვლილა. თითქოს შედარებითი „სიმყუდროვეა“, მაგრამ დღეს სხვა გვაღელვებს. პრესაში გამოქვეყნებული სამართლიანი კრიტიკა მსაჯთა შეცდომების შესახებ ზოგიერთმა მოთამაშემ და გუნდების ხელმძღვანელმაც კი, სამწუხაროდ, მიიღეს როგორც სიგნალი, რომ პროტესტი გამოუცხადონ მსაჯებს აკრძალული საშუალებებით თამაშის დროს და მისი დამთავრების შემდეგ.

ზოგიერთი არბიტრი აქაც დაუშვებელ გულგრილობას იჩენს და არ იყენებს იმ უფლებებს, რომლებიც გონს მოიყვანდა დისციპლინის მეტისმეტად ტემპერამენტიან დამრღვევთ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსაჯთა საკავშირო თათბირი გამოიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ არბიტრებს საჭირო წესრიგის უზრუნველყოფაში.

**ნ. მეჩნიკოვი,**
სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

(„ტრუდი“, 14 ივლისი).

• • •

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად განიხილა კიევისა და თბილისის „დინამოს“ კალენდარულ მატჩში მომხდარი ინციდენტი, როცა არბიტრ ვ. რუდნევის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო თბილისელებს მინდვრის დატოვება სურდათ.

აღინიშნა, რომ თბილისის „დინამოში“ აღმზრდელობითი მუშაობა არასაკმარისად წარმოებს. გუნდის უფროსს და უფროს მწვრთნელს მკაცრად მიეთითათ, კოლექტივს კი რეკომენდაცია მიეცა განიხილოს კაპიტნის ხელახალი არჩევის საკითხი.

განხილული იქნა სხვა საკითხებიც, კერძოდ, შეჯიბრების ჩატარება I ლიგაში. ხაზი გაესვა, რომ 22 გუნდის პირობებში არაა ნაყოფიერი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის საშუალება. თამაშები იმართება ყოველ მეოთხე დღეს, დიდი დრო იხარჯება მგზავრობაზე, დუბლიორთა შეხვედრები ტარდება ძალიან ცუდ მინდვრებზე.

სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ დაამტკიცა დებულების პუნქტი, რომელიც მეტყველებს შემდეგს: „გუნდები, რომლებიც I ლიგაში დაიკავებენ მე-18 — 22-ე ადგილებს, 1972 წლისთვის გადავლენ II ლიგის ზონებში ტერიტორიული ნიშნის მიხედვით“.

„ნევთჩის“ მოთამაშე ვ. გაჯიევმა შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრ ვ. ლებეუნოვს. გაჯიევი დისკვალიფიცირებულია სსრ კავშირის პირველობისა და თასის 5 მორიგი კალენდარული მატჩით და პირობითად — სეზონის ბოლომდე. ამავე გუნდის ფეხბურთელი რ. ყულიევი, რომელმაც მესამე გაფრთხილება მიიღო, დისკვალიფიცირებულია 1 მატჩით. აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას და „ნევთჩის“ ხელმძღვანელობას მიეთითათ კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტეზე.

„არარატის“ დუბლშემადგენლობის მოთამაშე ს. მარტიროსიანი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს, აგრეთვე, ყარაგანდის „შახტიორის“ წევრი ს. ჩერნოვი, რომელიც აკრიტიკებდა მსაჯის გადაწყვეტილებას, ხელს უშლიდა მატჩის ნორმალურ მსვლელობას და ქმნიდა ზედმეტ აჟიოტაჟს, დისკვალიფიცირებული არიან თითოეული 5 მორიგი მატჩით.

არბიტრთან შეკამათებისთვის 3 კალენდარული მატჩით დისკვალიფიცირებულია ს. მირიკოვი ორჯონიკიძის „სპარტაკიდან“.

საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ორმხრივი უხეშობისათვის მინდვრიდან იქნენ გაძევებული ვ. ანიჩკინი („დინამო“, მოსკოვი) და რ. ავანესიანი („არარატი“, ერევანი). თითოეული მათგანი დისკვალიფიცირებულია 1 მორიგი შეხვედრით.

## I ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 20 | 12 | 6 | 2 | 28—13 | 30 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 20 | 10 | 6 | 4 | 31—16 | 26 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 20 | 7 | 11 | 2 | 23—13 | 25 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 20 | 9 | 7 | 4 | 18—11 | 25 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 20 | 8 | 7 | 5 | 13—13 | 23 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 20 | 8 | 5 | 7 | 20—16 | 21 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 20 | 7 | 7 | 6 | 14—13 | 21 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 20 | 8 | 4 | 8 | 19—17 | 20 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 20 | 6 | 8 | 6 | 22—25 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 20 | 7 | 5 | 8 | 17—17 | 19 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 20 | 7 | 5 | 8 | 21—24 | 19 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 20 | 6 | 7 | 7 | 17—20 | 19 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 20 | 7 | 5 | 8 | 18—22 | 19 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 20 | 5 | 8 | 7 | 15—17 | 18 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 20 | 7 | 4 | 9 | 18—21 | 18 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 20 | 5 | 8 | 7 | 14—18 | 18 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 20 | 6 | 6 | 8 | 18—27 | 18 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 20 | 7 | 3 | 10 | 18—24 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 20 | 4 | 9 | 7 | 12—18 | 17 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 20 | 5 | 6 | 9 | 17—20 | 16 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 20 | 4 | 8 | 8 | 14—19 | 16 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 20 | 4 | 7 | 9 | 9—16 | 15 |

## II ლიგა IV ზონა

15 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### რუსთავი

აქაური სპორტული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს თავისი გუნდის გამოსვლების მიმართ. „მეტალურგი“ ღირსეულად უდგას სათავეში ზონის გათამაშებას და ამართლებს გულშემატკივართა ყურადღებას. ამ დღეს მეტალურგების მეტოქე იყო ნოვომოსკოვსკის „ხიმიკი“. მასპინძლებმა მატჩი რატომღაც ნელ ტემპში დაიწყეს და „ხიმიკს“ დაცვითი ხაზების გამაგრების საშუალება მისცეს. შემდეგში გუნდმა ტემპს უმატა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა მოპირდაპირე კართან, მაგრამ თავდამსხმელთა არაზუსტი დარტყმების გამო შედეგი კარგა ხანს არ ჩანდა.

ანგარიში გაიხსნა მხოლოდ მე-40 წუთზე: „ხიმიკის“ მეკარემ აილო ჩიტაურის მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთი, მაგრამ ვერ გააჩერა იგი ხელებში და გაუშვა ხაზს იქით — 1:0.

განახლდა თამაში და მეტალურგებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს: გაბრიჩიძემ მაღალ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 2:0.

ამ წარუმატებლობის მიუხედავად, სტუმრები ბოლომდე აქტიურად, დიდი მონდომებით იბრძოდნენ და მალცევმა შეძლო კიდეც 1 საპასუხო ბურთის გატანა.

„მეტალურგმა“ შეინარჩუნა მეტად საჭირო გამარჯვება — 2:1.

**რ. გაბრიჩიძე.**

### გორი

ბოლო სამ ტურში აღებულმა 5 ქულამ საგრძნობლად გამოასწორა გორის „დილის“ სატურნირო მდგომარეობა. გუნდი დაიძრა წინ და კარგი პერსპექტივებიც შეიქმნა შემდგომი ბრძოლისთვის. საჭირო იყო ამ მიღწევათა გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, ვლადიმირის „მოტორთან“, რომელსაც გორელები მასპინძლობდნენ.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს თამაში მიზნის მისაღწევად. ისინი ყოველმხრივ სჯობდნენ მეტოქეს და გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მინდვრის შუაგულში მოპოვებული უპირატესობა უნაყოფოდ იკარგებოდა „მოტორის“ საჯარიმო მოედანზე: შესამჩნევი იყო „დილის“ თავდამსხმელთა აჩქარება და ძალიან უზუსტო დარტყმები.

ასე იყო პირველ ტაიმში, შესვენების შემდეგ კი სურათი მთლიანად შეიცვალა. მასპინძლებმა უცებ დათმეს თამაში და საშუალება მისცეს „მოტორს“ ხელთ ეგდო ინიციატივა. ამას შედეგი მაშინვე მოჰყვა: 49-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან გათამაშებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა გლებოვმა, ხოლო ათიოდე წუთის შემდეგ დინიკოვი მარტო აღმოჩნდა გორელთა საჯარიმო მოედანზე — 2:0.

„დილამ“ მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო კონტრთამაშის შექმნა. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ პაპიაშვილმა გაქვითა 1 გოლი, მაგრამ ეს იყო და ეს. გორელმა ფეხბურთელებმა ერთობ დასანანი მარცხი იწვნიეს — 1:2.

**გ. გოზალიშვილი.**

### ბათუმი

პირველი წრის ბოლო მატჩში ადგილობრივი დინამოელები ტყიბულის „მეშახტეს“ შეხვდნენ. ორივე გუნდი უაღრესად დაინტერესებული იყო ქულებით, რამაც განაპირობა შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლა მთელი მატჩის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ ნაწვიმარ მინდორზე ჭირდა თამაში, მაყურებლებმა არაერთი საინტერესო მომენტი იხილეს.

საგოლე მომენტი უდავოდ გაცილებით მეტი ჰქონდათ დინამოელებს. მათი მეკარე მორჩილაძე უმეტესად მშვიდად იდგა თავის პოსტზე მაშინ, როცა მოპირდაპირე მხარეს მწვავე მომენტი მომენტს მოსდევდა. მათი გამოყენება ვერ შეძლეს მაჩხელიანმა, ილურიძემ, ჩხარტიშვილმა...

ასევე გრძელდებოდა თამაში მეორე ტაიმშიც. „მეშახტის“ კარი რამდენიმეჯერ იხსნა ძელმა, თავდამსხმელები ისევ არაზუსტად ურტყამდნენ. ერთი სიტყვით, ტყიბულელებმა შეინარჩუნეს კარის უხიფათობა და აილეს მეტად საჭირო ქულა — 0:0.

**ო. მურვანიძე.**

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (კოსტრომა) 1:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სატურნი“ (რიბინსკი) 0:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 1:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) 1:0, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „დინამო“ (ვოლოგდა) 2:0, „ხიმმაშოვეცი“ (პენზა)— „დინამო“ (კიროვი) 2:1.

## საბჭოთა ოლიმპიელების გამარჯვება

**გეტებორგი, 14 ივლისი.** სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა დღეს აქ თავისი შვედური ტურნეს მეორე მატჩი გამართა: ანგარიშით 2:1 დაამარცხა ადგილობრივი „ალიანსენი“.

ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა პორტუგალიელმა ეუსებიომ, რომელმაც ორი დღის წინათ „მალმეში“ ითამაშა საბჭოთა ოლიმპიელების წინააღმდეგ.

23-ე წუთზე მინსკის დინამოელმა ვასილიევმა მასპინძელთა კარში საპასუხო ბურთი გაიტანა, ხოლო 87-ე წუთზე ლენინგრადის ზენიტელმა ბულავინმა საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა.

# ციური კობაიძე — ფინალში

ვლადიმირი, 15 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის აქ გამართული ნახევარფინალის ფინიშზე უაღრესად მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. კარგად ითამაშა თბილისელმა სტუდენტმა, ოსტატმა ც. კობაიძემ, რომელმაც დასკვნით ტურებში ყველა მეტოქეს სძლია და I ადგილი დაიკავა. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ახალგაზრდებმა — ოსტატობის კანდიდატმა ტ. ფომინამ (ტალინი) და ოსტატმა ლ. სემიონოვამ (კიევი).

სსრ კავშირის ქალთა 31-ე ჩემპიონატი ოქტომბერში ჩატარდება სოჭში.

# თბილისელი პრობლემისტის წარმატება

ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო ჟურნალის „ჩესკოსლოვენსკი შახის“ კომპოზიციის განყოფილებაში სისტემატურად იბეჭდება მსოფლიოში სახელგანთქმული პრობლემისტებისა და ეტიუდისტების ახალი ნამუშევრები. სწორედ ამიტომ რედაქციამ ტრადიციად დაამკვიდრა ჟურნალში ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა კონკურსის გამართვა. ამას წინათ ჟურნალმა შეაჯამა 1968-69 წლებში გამოქვეყნებული ამოცანებისა და ეტიუდების კონკურსის შედეგები.

მრავალსვლიანი ამოცანების შემდგენელთა კონკურსში II პრიზი მიეკუთვნა თბილისელი კომპოზიტორის რ. თავარიანის ამ ნამუშევარს.

**რ. თავარიანი**
„ჩესკოსლოვენსკი შახი“, ივნისი, 1968 წ.



**შამათი შვიდ სვლაში**

კონკურსის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ბ. ლინდგრენი წერს: „გვაოცებს ამოცანის საწყისი პოზიციის ბუნებრიობა. მსგავსი ამოცანის შეთხზვა დიდ ფანტაზიასა და შრომას მოითხოვს“.

შეეცადეთ მიაგნოთ ამოცანის ამოხსნას.

• • •

I პრიზი მიიღო მ. სინდელარმა (ჩეხოსლოვაკია), I საპატიო შეფასება — ი. ბელიაკინმა (სსრ კავშირი); II — გ. გოუმონდმა (საფრანგეთი), I საქებო შეფასება — ა. გრინმა, II — ს. ტიხიმ (სსრ კავშირი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდები

**ბერლინი.** სახელგანთქმულმა მოცურავემ რ. მათესმა (გდრ) 100 მეტრზე ბატერფლაით ევროპის რეკორდი დაამყარა — 56,0. ეს შედეგი 0,1 წამით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას, რომელიც მათესმა ამ გაზაფხულზე მოიპოვა.

**სირაკუზი** (სიცილია). იტალიისა და პოლონეთის მოცურავეთა აქ გამართული მატჩი ევროპის რეკორდით აღინიშნა: 16 წლის იტალიელმა გოგონამ ნ. კალიგარისმა 1500 მეტრი თავისუფალი სტილით 17 წუთსა და 51.1 წამში გაცურა — ერთბაშად 11,9 წამით გააუმჯობესა ჰოლანდიელი ლ. დე ბურის ოფიციალური ევროპული რეკორდი.

ალსანიშნავია კალიგარისის ნორჩი მეგობრის პ. მისერინის გამოსვლაც 200 მეტრზე ბატერფლაით ამ გოგონამ ეროვნული რეკორდი დაამყარა — 2.50,7.

**ბეიკერსფილდი** (აშშ). ქვეყნის მძლეოსან ქალთა ჩემპიონატში 4X110 იარდზე ესტაფეტაში დ. ჰიუჯესმა, დ. იუჯვორთმა, მ. რენდმა და ა. დევისმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 44,7.

„ეტომს ტრეკ-კლაბის" (ბრუკლინი) მძლეოსანთა კვარტეტმა (შ. ტუსენი, გ. ფიტცჯერალდი, ლ. რეინოლდსი, დ. პუტენი) მსოფლიო რეკორდი დაამყარა 4X440 იარდზე ესტაფეტაში — 3.38,8.

# ოვალური ბურთით მებრძოლები

**ლენინგრადი,** 14 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ დაიწყო რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ზონის გუნდების შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის „სპარტაკისა" და საავიაციო ინსტიტუტის, ლენინგრადის „ბურევესტნიკისა" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

შეჯიბრება შესანიშნავად დაიწყეს თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც დაამარცხეს სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის რეგბისტები — 12:8 მინდორზე საუკეთესო იყო დინამოელი კიზირია, რომელმაც გუნდს 12 ქულა მოუტანა.

მოსკოვის „სპარტაკმა" სძლია ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 11:6.

ა. სარქისოვი.

**მონინო** (მოსკოვის ოლქი), 14 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ ასპარეზობაში ჩაებნენ II ზონის წარმომადგენლები—ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტებმა დაამარცხეს თბილისის „ლოკომოტივი" — 14:3. პირველ ტაიმში ანგარიში იყო 6:3. შესვენების შემდეგ ოდესელმა მსაჯმა შლესტოვიჩმა მინდვრიდან გააძევა ორი თბილისელი—რუხაძე და გოგორიშვილი. გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გრიგორიანცი, რომელმაც 11 ქულა შესძინა გუნდს.

„ფილის" სპორტულმა კლუბმა მოუგო კიევის „დინამოს" — 6:3.

▪ ▪ ▪

სურათზე: რეგბისტთა შეხვედრის მომენტი.

ვ. სტეპანოვის ფოტო. („კომსომოლსკაია პრავდა").

## საკუთარი ინფორმაცია

### თანამემამულეებთან ბრძოლაში

**ბორდო,** 15 ივლისი. „ტურ დე ფრანსის" მე-17 ეტაპი: მონ დე მარსანი — ბორდო (198 კმ) მოიგო ბელგიელმა ე. მერქსმა. ფინიშთან მან ჩამოიტოვა თანამემამულეები ვ. ვან დენ ბერგი და ლ. ვან დერ ვლოეტენი.

ფინიშამდე 30 კმ-ით ადრე მერქსმა შექმნა პატარა ჯგუფი, რომელმაც დანარჩენ მეტოქეებს 2 წუთზე მეტით გაუსწრო.

საერთო ჩათვლაში მერქსმა განიმტკიცა ლიდერის პოზიციები.

რბოლის დამთავრებამდე 3 ეტაპი დარჩა.

● ●

### პედრო როდრიგესის პატივსაცემად

**სილვერსტონი** (ინგლისი), 15 ივლისი. კვირას მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი — „დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის" გათამაშება ავტორბოლაში. სარბიელზე გამოვა 13 ქვეყნის 24 ავტომანქანა. მათ შორის მაყურებლები სტარტზე იხილავენ ახლახან დაღუპული ცნობილი მექსიკელი მრბოლელის პედრო როდრიგესის მანქანის ასლს. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს ამით სურთ პატივი სცენ გამოჩენილი მრბოლელის ხსოვნას.

# პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

### პეტროსიანი — კორჩნოი 3:3

**მოსკოვი,** 15 ივლისი. დღეს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ტ. პეტროსიანმა და ვ. კორჩნოიმ (სსრ კავშირი) თავიანთი მატჩის VI პარტია გაითამაშეს. თეთრებით კორჩნოი თამაშობდა.

ბრძოლა ახალინდური დაცვით დაიწყო. კორჩნოიმ, როგორც იტყვიან, თეორიის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით გაითამაშა დებიუტი. როგორც კი ცენტრი ჩაიკეტა, გამომჟღავნდა მხარეთა გეგმები: კორჩნოი უტევდა ლაზიერის, პეტროსიანი — მეფის ფრთას. ლენინგრადელი დიდოსტატი ხაზის გახსნას ლამობდა, რათა ეტლებით შეჭრილიყო მეტოქის პოზიციაში. პეტროსიანმა, როგორც კი გაიხსნა ხაზი, თითო ეტლი გაცვალა, ხელთ იგდო ინიციატივა და რამდენიმე ფიგურით ცენტრალურ პაიკს შეუტია. პოზიცია უაღრესად დაიძაბა.

კორჩნოიმ გადაწყვიტა პაიკი დაეთმო, ოღონდ ენდშპილში მაქსიმალურად გაეაქტიურებინა თავისი ეტლი. როცა პეტროსიანმა პაიკი მოიგო, კორჩნოიმ განზრახვა აასრულა. მან გამსვლელი პაიკი შექმნა, რამაც პეტროსიანის აქტივობა შებოჭა.

პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც, სპეციალისტების აზრით, კორჩნოი ყაიმის რეალურ შანსს ინარჩუნებს.

### VI პარტია

### კორჩნოი — პეტროსიანი

1. c4 მf6 2. მf3 e6 3. d4 b6 4. g3 კb7 5. კg2 კe7 6. მc3 მe4 7. კd2 d6 8. d5 მ:d2 9. მ:d2 0—0 10. 0—0 მფh8 11. ლc2 მd7 12. b4 კf6 13. მde4 კ:c3 14. მ:c3 ლe7 15. ეfd1 მf6 16. a3 e5 17. ეab1 მe8 18. e3 g6 19. მe2 f5 20. c5 ეd8 21. a4 მf6 22. ლc4 a6 23. ეbc1 ეf7 24. cb cb 25. ლd3 მფg8 26. ეc2 ლe8 27. ლb3 ეc8 28. ე:c8 ლ:c8 29. ეc1 ლa8 30. h3 მფg7 31. f4 კ:d5 32. კ:d5 ლ:d5 33. ლ:d5 მ:d5 34. ეc6 ეd7 35. a5 ba 36. ba მ:e3 37. ე:a6 მc4 38. ეa8 ეb7 39. a6 ეb1+ 40. მფf2 ეa1 41. a7 მd2. აქ პარტია გადაიდო. კორჩნოიმ 42-ე სვლა ჩაიწერა.

**მოსკოვი,** 16 ივლისი. ტ. პეტროსიანი და ვ. კორჩნოი თავიანთი მატჩის VI პარტიაში თამაშის განუახლებლად დღეს ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 3:3.

VII პარტია 17 ივლისს გაიმართება. თეთრებით თამაშობს პეტროსიანი.

### ფიშერი — ლარსენი 4:0

**დენვერი** (კოლორადოს შტატი), 15 ივლისი. დღეს აქ უნდა შემდგარიყო რ. ფიშერ (აშშ) — ბ. ლარსენის (დანია) მატჩის V პარტია, მაგრამ დანიელი დიდოსტატის ავადმყოფობის გამო იგი არ გათამაშდა. ეს პარტია 16 ივლისს გაიმართება. ამ ცნობის გადმოცემისას ასოშიეიტედ პრესის სააგენტო მატჩის არბიტრს პ. კლეინსა (ეკვადორი) და ექიმ რ. ჯონსტონს დაეყრდნო, მაგრამ არ გადმოუცია — კონკრეტულად რა სჭირს ლარსენს.

გთავაზობთ ამ მატჩის IV პარტიას.

### ლარსენი — ფიშერი

1. c4 g6 2. მf3 კg7 3. d4 მf6 4. მc3 0—0 5. e4 d6 6. კe2 e5 7. 0—0 მc6 8. d5 მe7 9. მd2 c5 10. ეb1 მe8 11. b4 b6 12. a4 f5 13. a5 მf6 14. ლa4 კd7 15. ლa3 კh6 16. კd3 ლc7 17. bc bc 18. ef gf 19. კc2 a6 20. მde4 კ:c1 21. მ:f6+ ე:f6 22. ეf:c1 ეaf8 23. ეb6 კc8 24. მe2 f4 25. კe4 მf5 26. ეc6 ლg7 27. ეb1 მh4 28. ლd3 კf5 29. მფh1 f3 30. მg3 fg+ 31. მფg1 კ:e4 32. ლ:e4 მf3+ 33. მფ:g2 მd2. ლარსენი დანებდა.

მეტოქეებმა ძველინდური დაცვა გამოიყენეს. ფიშერი უწინაც (ტაიმანოვთან) მიმართავდა ამ რთულ დებიუტს. ლარსენმა დალაშქრა ლაზიერის ფრთა, მაგრამ ამერიკელი მოჭადრაკე უფრო ენერგიულად მოქმედებდა. მიუხედავად იმისა, რომ დაიპყრო ვერტიკალი ლაზიერის ფრთაზე, ლარსენმა ვერ განავითარა იერიში. ფიშერმა მთელი ძალები აამოძრავა დანიელი დიდოსტატის მეფის წინააღმდეგ. თავდასხმა იმდენად მძაფრი და გამიზნული იყო (27-ე და 29-ე სვლები), რომ ლარსენი მალე დანებდა.

# სმისლოვის კარგი სტარტი

ამსტერდამში დაიწყო ტრადიციული „იბმ-ტურნირი" — დიდი საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრება. თამაშობენ (კენჭისყრის მიხედვით): ვ. ბრაუნი (ავსტრალია), ლ. ევანსი (აშშ), ა. ადორიანი (უნგრეთი), კ. ლანგვეგი, ი. დონერი, ჰ. რეე (ჰოლანდია), ვ. ულმანი (გდრ), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ვ. სმისლოვი (სსრ კავშირი), ი. ტიმანი (ჰოლანდია), პ. კერესი (სსრ კავშირი), ე. სჰოლი (ჰოლანდია), ლ. პორტიში (უნგრეთი), მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), ბ. ივკოვი (იუგოსლავია), რ. ჰარტოხი (ჰოლანდია).

I ტურში მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა 50 წლის სმისლოვმა, რომელმაც შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტს გლიგორიჩს მოუგო, II ტურში ჰარტოხს სძლია. კერესმა ორივე სასტარტო პარტია ყაიმით დაამთავრა: ჯერ რეესთან, მერე — ულმანთან. ფიშერის ყოფილმა მწვრთნელმა ევანსმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა ივკოვთან.

ახალგაზრდა ოსტატებმა ადორიანმა, ლანგვეგმა და სჰოლმა შესაბამისად დაამარცხეს დიდოსტატები ბობოცოვი, პორტიში და დონერი. ულმანი და ბრაუნი დიდოსტატურ სიმაღლეზე აღმოჩნდნენ: მათ სძლიეს შესაბამისად ტიმანსა და ჰარტოხს.

# ახალი ამბები-71

● **შტუტგარტი,** 15 ივლისი. გფრ-ის მძლეოსანთა ჩემპიონატში 20 წლის ქ.-ჰ. კლოცმა 100 მ 10,1 წამში გაირბინა, ხოლო 200 მ — 20,5 წამში. კლოცის თანატოლმა გ. კილერმა წლევანდელი ევროპული სეზონის მეორე შედეგით ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 45,8. სიგრძეზე ხტომელ ვაჟთა შორის გაიმარჯვა ასევე 20 წლის სპორტსმენმა, ევროპის „ზამთრის ჩემპიონმა" ჰ. ბაუმგარტნერმა — 802 სმ. II ადგილი დაიკავა ი. შვარცმა — 795 სმ. გ. შპილფოგელმა, ლ. დოსტერმა და გ. მაგერლმა 217 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახეს. ქალთა შორის გაიმარჯვეს: 100 მეტრზე რბენაში — ე. შიტელჰელმმა (11,2), 200 მეტრზე — რ. იანმა (23,1), 400 მეტრზე — ი. ბოდინგმა (52,8). მწვავე ბრძოლა გაჩაღდა სიგრძეზე ხტომაში. I ადგილი დაიკავა ჰ. როზენდალმა (669 სმ), II — ი. მიკლერმა (662), III — ჰ. ჰერცოგმა (660). ფოსბიურის ყაიდით მხტომელმა რ. გერტნერმა 183 სმ სიმაღლე გადალახა. ბ. მერენდონკმა 58,22 მეტრზე ტყორცნა ზადრო.

● **ლიუბლინი,** 15 ივლისი. აქ მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში კვლავინდებურად ლიდერობს კაუნასელი საერთაშორისო ოსტატი ვ. მიკენასი, რომელსაც 7 ტურის შემდეგ 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.

# ტოსტაოს გოლი

**რიო-დე-ჟანეირო,** 14 ივლისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის—ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების შეხვედრამ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდთან. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და მიმზიდველი იყო. მე-14 წუთზე ტოსტაომ სტუმართა კარში გაიტანა ბურთი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში.

# 1945

◆ **გორიცია** (იტალია), 16 ივლისი. ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა I ჩემპიონატის ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრები იუგოსლაველებს შეხვდება. ეს თამაში, ისევე როგორც მეორე ნახევარფინალური მატჩი (იტალია — ესპანეთი), 17 ივლისის საღამოს გაიმართება. საბჭოთა კალათბურთელებმა მეხუთე წინასწარ მატჩში ანგარიშით 51:42 (33:17) სძლიეს ესპანელებს და 10 ქულით (10-დან) I ადგილი დაიკავეს თავიანთ ქვეჯგუფში. მეორე ქვეჯგუფში ასეთივე შედეგს მიაღწიეს იტალიელებმა. ესპანეთისა და იუგოსლავიის გუნდები II ადგილებზე გავიდნენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული აფიშა

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 18 ივლისი. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „ვარძია" (ახპინძა). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04757